ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N76

ქ.თბილისი

5 მარტი, 2021 წელი
16°° საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია

საკრებულოს წევრები:

| | |
|---|---|
| მიხეილ ამაშუკელი | ლევან არველაძე |
| გიორგი ბირბიჩაძე | გულია გოცირიძე |
| ოთარ გრიგოლია | ლევან დარახველიძე |
| გიორგი დოხტურიშვილი | ერეკლე კუხიანიძე |
| ანა ლაშხი | ზაზა მამალაძე |
| მიხეილ მესხი | თინათინ ნიბლოშვილი |
| შალვა ოგბაიძე | ვაჟა ოთარაშვილი |
| ლევან ჟორჟოლიანი | დათო რურუა |
| ნინო რუხაძე | რევაზ სოხაძე |
| დავით უთმელიძე | ბორია ფირცხელიანი |
| ვახტანგ შაქარიშვილი | გიორგი ჩაკვეტაძე |
| ავთანდილ ცინცაძე | ვლადიმერ ძნელაძე |
| დავით ჭელიძე | ალექსანდრე ხუჯაძე |
| ლევან ჯაფარიძე (სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე) | ლევან ჯაფარიძე |
| ილია ჯიშკარიანი | ქეთევან ჯოხაძე |

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ლევან არველაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა თბილისის მერის ინიცირებას, რომელიც, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გულისხმობს სარესტორნო ბიზნესის მხარდაჭერას, რაც ითვალისწინებს აღნიშნულ ბიზნესში ჩართული მეწარმეებისთვის 5000 ლარის სუბსიდირებას, ხოლო იმ იურიდიული პირებისთვის, ვისაც აქვს რამდენიმე სარესტორნო ადგილი - 10000 ლარის სუბსიდირებას. ლევან არველაძის თქმით, აღნიშნული არის ძალიან მნიშვნელოვანი ინიცირება, რადგან ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ფონზე, გაურკვეულწილად შეუმსუბუქებს მდგომარეობას იმ ადამიანებს, რომლებსაც პანდემიის პერიოდში არ ჰქონდათ მუშაობის უფლება.

გიორგი ახვლედიანმა აღნიშნა, რომ თბილისის მერის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისკენ მიმართული ინიციატივა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, როგორც თბილისის მაცხოვრებლებისთვის, ასევე მეწარმეებისთვის. მან კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: მამუკა ჯაყელი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით ($M_2$ კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების

სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

9. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

10. „ქალაქ თბილისში, კალანდაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.098) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

11. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

12. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.702 და N01.19.23.009.076.01.703) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.02.500 და N01.11.05.029.144.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.029.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.032.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.024.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის I შესახვევი, კორპუსი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.018.01.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „2016 წლის 19 აპრილს შპს „ალმა ტრანსპორტსა" (ს/კ.: 405142821) (უფლებამონაცვლე - შპს „ალმა" (ს/ნ.: 204873388)) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი - N160405188) ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინ გრუპს" (ს/ნ.: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „მაილინ გრუპის" (ს/ნ.: 205207364) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით შპს „ოპტიმას“ (ს/ნ.: 405160819) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

23. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ, 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ზოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისის“ (ს/ნ.: 406282240) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, კრწანისის I ჩიხი, N2ბ (ს/კ.: N01.18.06.018.104) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

24. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ზოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „ეპიკ ისანის“ (ს/ნ.: 401992368) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ბ.ხმელნიცკის ქუჩა N48 (ს/კ.: N01.17.11.027.065) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

25. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

26. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

27. „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

28. „ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქ.N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.018) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15

მარტის N436 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

29. „ქ.თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მარცხენა სანაპიროსა და ა.მირცხულავას 9/11-ის მიმდებარე ამხანაგობა „გეომერიდიანი"-ის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტები) შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 15 იანვრის N01/14 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

30. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ბულგარეთის რესპუბლიკის დედაქალაქის - სოფიას სახელის მინიჭების შესახებ";

მომხსენებელი: მიხეილ ამაშუკელი

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2020 წლის 6 თვის შესრულებული სამუშაოს ანგარიში (01.07.2020წ. - 31.12.2020წ.)".

მომხსენებელი: ლევან ჯაფარიძე

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ეხება 55 საშტატო ერთეულს, რომელთა სახელფასო ანაზღაურების ზრდა გამოწვეულია კოეფიციენტის ზრდით.

ოთარ გრიგოლია დაინტერესდა, რომელი რანგის თანამშრომლებზეა საუბარი.

მამუკა ჯაყელმა განმარტა, რომ საუბარია მე-2 კატეგორიის მთავარ სპეციალისტებზე და მე-3 კატეგორიის წამყვან სპეციალისტებზე, რომლებიც წლებია მუშაობენ აღნიშნულ თანამდებობებზე და მათთვის ხელფასის გაზრდით დაფასდება იმ ადამიანების შრომა, რომელთა კვალიფიკაცია მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის და ასევე, აღნიშნული ხელს შეუშლის პროფესიონალი კადრების სამსახურიდან გადინებას.

ვაჟა ოთარაშვილის თქმით, წარმოდგენილი ცვლილებები ითვალისწინებს საშტატო ერთეულის რაოდენობის ზრდას და „მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ ქამრების შემოჭერაზე და ბიუჯეტის ეკონომიურად ხარჯვაზე", გაუგებარია ბიუჯეტიდან ამხელა თანხების დამატებით გადინება და მოითხოვა დეტალური განმარტება.

მამუკა ჯაყელმა განმარტა, რომ საშტატო ერთეულის რაოდენობა არ იზრდება და რჩება იგივე, წარმოდგენილია 55 თანამშრომლისთვის კოეფიციენტის ცვლილება და შესაბამისად,

თითოეული მათგანისთვის ხელფასის გაზრდა 300 ლარის ოდენობით, რაც თვეში შეადგენს 16500 ლარს. მან აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალური ინსპექციის საქმიანობიდან გამომდინარე, გასულ წელს, თბილისის ბიუჯეტში შეტანილი თანხის რაოდენობა 20000000 ლარზე მეტი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ სამსახურის თანამშრომლები ღირსეულად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და განსაკუთრებით მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებს ნელ-ნელა უნდა გაეზარდოთ ხელფასი, რადგან ეს ადამიანები 24 საათის განმავლობაში მუშაობენ იმისთვის, რომ აღკვეთონ ქალაქში არსებული დარღვევები, როგორც სამშენებლო სფეროში, ასევე, ნებისმიერი სხვა მიმართულებით. მისი თქმით, მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლებისთვის ხელფასის გაზრდა 300 ლარით არ არის საკმარისი, თუმცა ეს არის ის თანხა, რისი ამ მიმართულებით გამოყოფის შესაძლებლობაც აქვს დღეს თბილისის ბიუჯეტს. რევაზ სოხაძემ აქვე აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, არა თუ ხელფასი, არამედ უნდა გაიზარდოს მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლების რიცხოვნობაც, რადგან ქალაქში უამრავი დარღვევაა ყველა მიმართულებით. საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ მიესალმება არა მხოლოდ მუნიციპალური ინსპექციის, არამედ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდას, რადგან ისინი ამას იმსახურებენ.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომლები „კოლოსალურ სამუშაოს“ ეწევიან ყოველდღიურად. აღსანიშნავია, რომ პანდემიის მძიმე პერიოდში მათ ასევე დაევალათ მთავრობის დადგენილებებზე ზედამხედველობაც და საპატრულო პოლიციასთან, შრომის ინსპექციასთან და სხვა სამსახურებთან ერთად გვერდზე ედგნენ ქალაქს. მისი თქმით, „ქამრების შემოჭერა“ ეხება მაღალი თანამდებობის პირებს და მათ პრემიებს, რაც მრავლად გაიცემოდა წინა ხელისუფლების დროს, ხოლო 2014 წლის შემდეგ, თბილისის საკრებულოს არც ერთ წევრს არასდროს აუღია პრემია და დანამატი. რაც შეეხება საჯარო მოხელეებს, ისინი არიან ადამიანები, რომლების ყოველდღიური საქმიანობა ემსახურება ჩვენს ქალაქს და მათთვის 200-300 ლარით ხელფასის გაზრდა „სალაპარაკო არ უნდა იყოს“.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ პრეტენზია არ აქვს ხელფასის მატებაზე, თუმცა, როდესაც თბილისის ბიუჯეტში შესაძლებელია თანხის გამოყოფა ხელფასების გაზრდისთვის, გაუგებარია, რატომ ვერ მოხერხდა 76000 ლარის მოძიება დავით აღმაშენებლის ძეგლის რუსთაველის გამზირზე გადმოსატანად, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც 2021 წელს სრულდება დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავი.

თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ ვაჟა ოთარაშვილის თქმით, საარჩევნო კამპანიის პერიოდში, კახა კალაძის დაპირება იყო დავით აღმაშენებლის ძეგლის გადატანა სხვა ადგილას და განაცხადა, რომ „მსგავსი ტიპის დაპირება ქართული ოცნების ხელისუფლების მხრიდან არ არსებობს“. ამასთანავე, ძეგლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა თბილისის საკრებულოს პრეროგატივა არ არის და საკრებულოს სხდომაზე ამ საკითხზე საუბარი მიზანშეწონილი არ არის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე

წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს $M_2$ კატეგორიის ავტობუსებით მგზავრობისას, შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეების მგზავრობის ტარიფის ანაზღაურებას თბილისის ბიუჯეტიდან.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021 2023 წლების განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროგრამა მოიცავს 2021-2023 წლების განმავლობაში სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის, ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული სატრანსპორტო საშუალებების ჩამოყვანას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით ($M_2$ კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_2$ კატეგორიის ავტობუსით მგზავრობის საფასურის განსაზღვრას 0.50 ლარით.

შალვა ოგბაიძემ განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ შემოყვანილი ახალი მიკროავტობუსების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვა ნიშნავს იმას, რომ ახალ, $M_2$ კატეგორიის ავტობუსებში გავრცელდება ყველა ის სამგზავრო შეღავათი, რომლებიც აქამდე ვრცელდებოდა $M_3$ კატეგორიის ავტობუსებით და მეტროპოლიტენით მგზავრობისას, მათ შორის, მოქალაქეები შეძლებენ ერთხელ გადახდილი 0.50 ლარით, 90 წუთის განმავლობაში იმგზავრონ როგორც მეტროპოლიტენით, ასევე $M_2$ და $M_3$ კატეგორიის ავტობუსებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული $M_2$ კატეგორიის ავტობუსებში გავრცელდება ყველა ის სამგზავრო შეღავათი, რომლითაც $M_3$ კატეგორიის ავტობუსებით და მეტროპოლიტენით მგზავრობისას სარგებლობენ მოსწავლეები, პედაგოგები, პენსიონერები და სხვა კატეგორიის პირები და ასევე, 90 წუთიანი საშეღავათო სამგზავრო ტარიფი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით ($M_3$ კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომელიც გულისხმობს ინფორმაციის მიღებას იმ პირებზე, რომლებიც სარგებლობენ სამგზავრო შეღავათებით, რათა შემდგომ მოხდეს სამგზავრო გადაყვანისას გაწეული ხარჯის ანაზღაურება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ($M_2$ და $M_3$ კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს $M_2$ და $M_3$ კატეგორიის ავტობუსების სანებართვო პირობებში იმ პირობის განსაზღვრას, რომლის თანახმადაც მათი მხრიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების ან სხვა ვალდებულების არსებობის შემთხვევაში, მათთვის თანხის ჩარიცხვისას მოხდება ბიუჯეტის მიმართ ასანაზღაურებელი თანხის დაკავება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის N13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ახალი, უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხების განმხილველი სამმართველოს ჩამოყალიბება, რომელიც სამსახურს დაეხმარება უფრო სწრაფად და ეფექტურად დაამყაროს კომუნიკაცია იმ პირებთან, რომელთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს, ახალი გენ.გეგმის ფარგლებში, გაუუარესდათ ფუნქციური ზონის სტატუსი. აღსანიშნავია, რომ სამმართველო ჩამოყალიბდება არსებული ვაკანსიების ხარჯზე და შესაბამისად, არ გაიზრდება სახელფასო ფონდი. ასევე, წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, „სასამართლოსთან წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სამმართველოს“ ეცვლება სახელი და იქნება „საჯარო ინფორმაციის გაცემის და სასამართლოსთან წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სამმართველო“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

9. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის I ჩიხი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.001.195.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 44 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 10-12 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქალაქ თბილისში, კალანდაძის ქუჩა N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.01.002.098) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 68 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 10 წელზე მეტია ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა N173 ში, კორპუს N6 ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.020.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 100 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2010 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N31-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.002.011.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 72 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2006 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.076.01.702 და N01.19.23.009.076.01.703) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 63 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2011 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.02.500 და N01.11.05.029.144.01.517) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 102 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 2008-09 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 192 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 2004-05 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.029.01.512) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 70 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.032.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 71 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქ თბილისში, ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩა N14, კორპუსი N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.022.024.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 68 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2011 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის I შესახვევი, კორპუსი N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.018.01.022) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 33 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2003 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „2016 წლის 19 აპრილს შპს „ალმა ტრანსპორტსა“ (ს/კ.: 405142821) (უფლებამონაცვლე - შპს „ალმა“ (ს/ნ.: 204873388)) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებაში (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი - N160405188) ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კომპანიას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების თანახმად, ქალაქის

ტერიტორიაზე, თავისი ხარჯით, უნდა განეთავსებინა 700 მოსაცდელი და იჯარის საფასური 1 კვ.მ.-ზე გადაეხადა 7.20 ლარი. დღეის მდგომარეობით, ქალაქში განთავსებულია 540 მოსაცდელი, ხოლო დანარჩენის ლოკაციები შეთანხმებულია მუნიციპალიტეტთან და შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებით, განსაზღვრული იქნება შვიდასივე მოსაცდელი. აღსანიშნავია, რომ მერიის მოთხოვნით, რამდენჯერმე განხორციელდა მოსაცდელების ადგილმდებარეობის ცვლილება, თუმცა იჯარის ხელშეკრულებები რჩებოდა გაფორმებული, რაც იწვევდა დუბლირებას და კომპანიას საიჯარო თანხის გადახდა უწევდა ორ ლოკაციაზე. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ საკითხის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ კომპანიას ზედმეტად გადახდილი აქვს 540000 ლარი, რომელიც, წარმოდგენილი ცვლილებით, კომპანიას დაუჯდება ავანსად და გადახდილად ჩაეთვლება დაახლოებით 1.5 წლის საიჯარო ქირის საფასური.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

21. „ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით - ქ.თბილისის მერიის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „მაილინ გრუპს" (ს/ნ.: 205207364) შორის 2011 წლის 9 დეკემბერს გაფორმებულ „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან შპს „მაილინ გრუპის" (ს/ნ.: 205207364) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ კომპანიას ხელშეკრულებით გადაცემული ჰქონდა მიწის ნაკვეთი, სადაც მშენებლობის დასრულების შემდეგ, დაზარალებულ პირებს გადასცემდა საცხოვრებელ ფართებს. კომპანიამ მოახდინა დაზარალებული პირების იდენტიფიცირება და ზოგ მათგანს გადასცა ფართი, თუმცა დაზარალებულების გარკვეული ნაწილი არ ეთანხმება კომპანიის მიერ ფართების გადაცემას და აქედან გამომდინარე, კომპანიას უფიქსირდება ვალდებულების დარღვევა. წარმოდგენილი ცვლილებებით, კომპანიას ეძლევა პირობა, რომ დაზარალებულების იდენტიფიცირება მოახდინოს ერთ ტერიტორიაზე 5 მაისამდე, ხოლო მეორე ტერიტორიაზე 5 ივლისამდე და გადასცეს მათ ფართები. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ განახორციელებს აღნიშნულს ან იდენტიფიცირებული დაზარალებულები იქნებიან გადაცემის წინააღმდეგნი, კომპანია ფართებს გადასცემს მუნიციპალიტეტს, რის შემდეგაც მოსახლეობასთან მოლაპარაკებას განაგრძობს მუნიციპალიტეტი. ირაკლი თავართქილაძემ აქვე განმარტა, რომ ცვლილებებით ასევე წარმოდგენილია კომპანიისთვის, ზემოთ ხსენებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, დაკისრებული პირგასამტეხლოს პატიება, რომელიც შეადგენს დაახლოებით 150000 ლარს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

22. „დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების მიზნით შპს „ოპტიმას" (ს/ნ.: 405160819) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომელიც გულისხმობს კომპანია „სვეტის" ობიექტებზე, კ2 კოეფიციენტის უცვლელად, საანგარიშო ფართის ზრდას მაქსიმუმ 200-300 კვ.მ.-თი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

23. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ.: N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ.: N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისის" (ს/ნ.: 406282240) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, კრწანისის I ჩიხი, N2ბ (ს/კ.: N01.18.06.018.104) არსებულ სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით, შპს „პილარ ჯგუფი - კრწანისი" 303000 ლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" ე.წ. ექვსეულს, რომლის ჯამური ღირებულება არის 34000000 ლარი, ხოლო სანაცვლოდ, არსებული ცხრასართულიანი ნებართვის მქონე ობიექტზე მოხდება ორი სართულის გადამეტება და იქნება თერთმეტი სართული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

24. „ქ.თბილისში, შარტავას ქ.N3 (ს/კ. N01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ.N6, კორპუსი 14, (ს/კ. N01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ.N16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი N1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ. 25/29), (ს/კ.: N01.10.10.025.029), მარიჯანის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.14.03.039.007), კოსმონავტების ქ.N45-47-49 (ს/კ.: N01.13.05.004.173, N01.13.05.004.059, N01.13.05.004.142), ბოხუას ქ.N10, (ს/კ.: N01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ.: 204460957) და შპს „ეპიკ ისანის" (ს/ნ.: 401992368) მიმართ მისამართზე - ქ.თბილისი, ბ.ხმელნიცკის ქუჩა N48 (ს/კ.: N01.17.11.027.065) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ შპს „ეპიკ ისანმა“ გამოთქვა მზაობა ფინანსურად დახმარებოდა შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ მიერ დაზარალებულებს, რის სანაცვლოდაც, ბოგდან ხმელნიცკის ქ.N48-ში მდებარე ობიექტზე, ორ ბლოკზე მიიღო 2-2 სართულის დამატების უფლება, თუმცა შესაბამისი კვლევების ჩატარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი კორპუსი კონსტრუქციულად ვერ აიტანდა 2 სართულის დამატებას და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია, კ2 კოეფიციენტის უცვლელად, აღნიშნული 2 სართულის დამატების გადანაწილება მეორე ობიექტზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ დადგენილების მოქმედი რედაქციით, განაშენიანების რეგულირების წესებთან შეუსაბამოდ გამიჯნულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური პარამეტრები არ დგინდება. თუმცა, პრაქტიკამ ცხადყო, რომ არსებობს ისეთი შეუსაბამო მიწის ნაკვეთები, სადაც შესაძლებელია ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა და ქალაქგეგმარებითად მათი გამიჯვნით შეუსაბამობის სტატუსი არა თუ იზრდება, შესაძლებელია შემცირდეს კიდეც. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტის მიზანია, შეუსაბამო მიწის ნაკვეთების გამიჯვნა განხორციელდეს ისე რომ არ იზრდებოდეს ან მცირდებოდეს მისი შეუსაბამობა და შემდგომ, ამ მიწის ნაკვეთებზე, განხორციელდეს ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

26. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით წინადადებები წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით: N12-032104946-03 თარიღი: 18.02.2021, N12-032105459-03 თარიღი: 23.02.2021, N12-032105738-03 თარიღი: 26.02.2021, N12-032105739-03 თარიღი: 26.02.2021 და N12-032104393-03 თარიღი: 12.02.2021, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით:

1. დამატებით შესწავლას მოითხოვს და შესაბამისად, განსახილველად უნდა გადაიდოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-032104946-03 წერილით წარმოდგენილი „ა“, „ბ“, „ზ“, „ი“ და „კ“ პოზიციები და N12-032105739-03 წერილით წარმოდგენილი „ა“ და „თ“ პოზიციები.
2. ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებას უარი უნდა ეთქვას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის N12-032104393-03 წერილით წარმოდგენილ „კ“ პოზიციაზე და N12-032104946-03 წერილით წარმოდგენილ „გ“ პოზიციაზე.
3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილებით წარმოდგენილ სხვა დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

27. „ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთს, რომლის ფართობი შეადგენს 13000 კვ.მ.-ს, სადაც ხელშემწყობი ღონისძიების გატარების ფარგლებში, კ2 კოეფიციენტის უცვლელად, ტერიტორიის საანგარიშო ფართობი იზრდება 529 კვ.მ.-თი.

ვაჟა ოთარაშვილი დაინტერესდა, თუ რამდენ სართულიანი კორპუსების მშენებლობაა დაგეგმილი აღნიშნულ ტერიტორიაზე.

ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 25 სართულით.

ვაჟა ოთარაშვილმა განაცხადა, რომ თბილისის ქუჩებში „აღარ ეტევა მანქანები“ და ოცდახუთსართულიანი კორპუსების მშენებლობა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ამ მხრივ არსებული მძიმე მდგომარეობის გაუარესებას. მისი თქმით, ქალაქში შესაცვლელია სამშენებლო პოლიტიკა და ამ მიმართულებით აუცილებელია კონსულტაციების გავლა „ღირსეულ არქიტექტორებთან“.

რევაზ სოხაძე გამოეხმაურა ვაჟა ოთარაშვილის განცხადებას და აღნიშნა, რომ გენ.გეგმის კონცეფცია მოიცავს „კომპაქტურ ქალაქს“, რომელიც თავის თავში გულისხმობს ქალაქის ტერიტორიების ეფექტურ გამოყენებას და არავითარი პრობლემა არ არის არც 25 და არც 40 სართულიანი კორპუსების მშენებლობაა იქ, სადაც ეს შესაძლებელი და მისაღებია ურბანული თვალსაზრისით. მისი თქმით, „არავის ჰგვრის დიდ ბედნიერებას“ 25 სართულიანი კორპუსის მშენებლობის ნებართვის გაცემა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება კომპანია „სვეტის“ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულ ოჯახებს, რომელთა დაკმაყოფილებაც მოხდება მშენებლობის დასრულების შემდეგ.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულ 2500 ოჯახს, რომლებსაც მუნიციპალიტეტმა ან უნდა უთხრას, რომ არ ჩაერევა ორ პირს შორის დავაში, ან აიღოს პასუხისმგებლობა და დაეხმაროს.

დღევანდელმა ხელისუფლებამ აიღო პასუხისმგებლობა დაეხმაროს ამ ოჯახებს და დეველოპერებთან წავიდეს გარკვეულ დათმობებზე. მისი თქმით, არავის სიამოვნებს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ამ მასშტაბის მშენებლობების ნებართვის გაცემა, თუმცა მიმდინარე სხდომაზე წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებსა და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების განხორციელება განპირობებულია სწორედ დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებული ოჯახების პრობლემის მოგვარებით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

28. „ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქ.N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.018) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 მარტის N436 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ეხება კომპანია „სვეტის" დაუმთავრებელ მშენებლობას, სადაც ხელშემწყობი ღონისძიების გატარების ფარგლებში, კ2 კოეფიციენტის უცვლელად, ტერიტორიის საანგარიშო ფართობი იზრდება 563 კვ.მ.-თი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

29. „ქ.თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მარცხენა სანაპიროსა და ა.მირცხულავას 9/11-ის მიმდებარე ამხანაგობა „გეომერიდიანი"-ის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტები) შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 15 იანვრის N01/14 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტიც ეხება კომპანია „სვეტის" დაუმთავრებელ მშენებლობას, სადაც ხელშემწყობი ღონისძიების გატარების ფარგლებში, კ1, კ2 და კ3 კოეფიციენტების უცვლელად, ტერიტორიის საანგარიშო ფართობი იზრდება 256 კვ.მ.-თი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

30. „ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ბულგარეთის რესპუბლიკის დედაქალაქის - სოფიას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე მიხელ ამაშუკელმა და აღნიშნა, რომ საქართველოს და ბულგარეთს ისტორიული მეგობრობა აკავშირებს ერთმანეთთან და ბულგარეთი საქართველოს „მხურვალე“ მხარდამჭერია საერთაშორისო ასპარეზზე. მისი თქმით, თბილისში ბულგარეთის დედაქალაქის - სოფიას სახელობის გეოგრაფიული ობიექტის არსებობა, კიდევ უფრო გააღრმავებს ორ ქვეყანას შორის როგორც მეგობრულ, ასევე, დიპლომატიურ ურთიერთობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

31. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2020 წლის 6 თვის შესრულებული სამუშაოს ანგარიში (01.07.2020წ. - 31.12.2020წ.)“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძემ (ანგარიში ოქმს თან ერთვის).

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ანგარიში ცნობად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 9 დადგენილება და 21 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ახვლედიანი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2020 წლის (01.07.2020-31.12.2020) მუშაობის ანგარიში

ქ.თბილისი 5 მარტი 2021 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ **2020 წლის 1 ივლისიდან - 2020 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით პერიოდში გაწეულ სამუშაოებზე დაყრდნობით შედგენილია წინამდებარე ანგარიში, რომელიც კომისიაზე განხილვის შემდგომ წარედგინება საკრებულოს.

მოცემული დოკუმენტი შემუშავებულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, სარევიზიო კომისიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სარევიზიო შემოწმებების შედეგად შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნებზე დაყრდნობით.

2020 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2020 წლის 24 იანვარს, რომელის თანახმადაც წლის განმავლობაში კომისია ახორციელებს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო საქმიანობის შემოწმებას, დასკვნების შედგენას და რეკომენდაციების გაცემას. დამტკიცებული გეგმა მოიცავს 21 შესამოწმებელ ორგანიზაციას მათ შორის, ქ.თბილისის 185 საბავშვო ბაგა-ბაღს შერჩევითი მეთოდით.

სარევიზიო კომისია სარევიზიო შემოწმებას ახორციელებს სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად. ასევე კონკრეტული შემოწმებიდან

გამომდინარე, შესაბამის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე.

ჯგუფის წევრები შემოწმების წარმოებისას, გარდა სარევიზიო კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა, ხელმძღვანელობენ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის დავალებით და მის საფუძველზე გაცემული შესამოწმებელი ობიექტის შემოწმების პროგრამით. ასევე, ხელმძღვანელობენ შესამოწმებელი ობიექტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, რომლის სისრულეზე და სისწორეზე პასუხისმგებელია შესაბამისი შესამოწმებელი ობიექტი, ხოლო ჩატარებული შემოწმებისა და მის საფუძველზე შედგენილი შემოწმება-ანალიზის დასკვნის სისწორეზე პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის შესაბამისი შემმოწმებელი ჯგუფი.

სარევიზიო შემოწმებისას შემოწმების პროცესი მიმდინარეობს ობიექტურად, მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად, მასალების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე. შემოწმების დასრულების შემდგომ მასალები წარედგინება კომისიას განხილვისთვის.

შემოწმება-ანალიზის ყველა დასკვნა სარევიზიო კომისიის მიერ განიხილება სხდომაზე. (სხდომამდე შემოწმება-ანალიზის დასკვნა გასაცნობად ეგზავნებათ შემოწმებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც 7 დღის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები-შენიშვნები დასკვნის ირგვლივ). სარევიზიო კომისიის სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება დასკვნის შემდგომი რეაგირების თაობაზე.

ქვეყანაში არსებული ("COVID – 19") პანდემიიდან გამომდინარე, სარევიზიო კომისიაც ანალოგიურად იმყოფებოდა დისტანციურ მართვაზე. გამომდინარე აღნიშნულიდან, 2020 წლის სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმა სარევიზიო კომისიის მიერ ვერ იქნა შესრულებული.

სარევიზიო კომისიის მიერ წლის განმავლობაში შემოწმდა გეგმით გათვალისწინებული 4 (ოთხი) ორგანიზაცია (მეხუთე დაგეგმილი იყო და ვერ დასრულდა, რის გამოც შეჩერდა მისი შემოწმება), სადაც ოთხ ორგანიზაციაში შემოწმების შედეგად სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მიერ, შედგენილ იქნა შემოწმება-ანალიზის დასკვნები.

საანგარიშო პერიოდში, კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა 2020 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული 3 (სამი) ორგანიზაცია, კერძოდ შემოწმდა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა" - ს მიერ, 2016 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

2. ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის" მიერ 2017 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

3. ააიპ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება"-ს მიერ, დაარსების დღიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმება.

ერთი ორგანიზაციის შპს „ეკოსერვის ჯგუფი"- ის შემოწმება, შეჩერდა პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო.

ორგანიზაციებში ჩატარებული შემოწმებებით დადგენილი იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები:

შპს „თბილისის 25-ე მოზრდილთა პოლიკლინიკა"

1) ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 21 აპრილის N10.34.560 დადგენილებით დამტკიცებული წესდების 8.2. პუნქტის თანახმად: „დირექტორს კანონით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კომპანიის პარტნიორი (ქონების მართვის სააგენტო) ან მის მიერ უფლებამოსილი პირი" ამავე, წესდების 8.4. პუნქტის საფუძველზე, შესაბამისად მასთან გაფორმებულ უნდა იქნას ხელშეკრულება, რაც არ არის განხორციელებული.

2). ასევე პოლიკლინიკის ხელმძღვანელის მიერ, დამფუძნებელთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი მერიასთან წერილობით არ იყო შეთანხმებული 2020 წელს მოქმედი პოლიკლინიკის წლიური ხარჯთაღრიცხვის გეგმა, საშტატო განრიგი, დასაქმებულთა სახელფასო განაკვეთების ოდენობები და სხვა ნორმები, რითაც დარღვეულია ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის N10.34.560 დადგენილებით დამტკიცებული პოლიკლინიკის წესდების მე–6–ე პუნქტის 6.2. ქვეპუნქტის მოთხოვნები.

3). პოლიკლინიკაში ჩატარებული ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის თანახმად, საინვენტარიზაციო კომისია შედგებოდა 4 (ოთხი) წევრისაგან. რაც იმას ნიშნავს რომ, დაირღვა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების „საბიუჯეტო ორგანიზაციებში, ქონების მოთხოვნის და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" მე-5 მუხლის 5.3. პუნქტი: „სავალდებულო ინვენტარიზაციის ჩატარების დროს, საინვენტარიზაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან, მათ შორის, თავმჯდომარისაგან." ამავე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე, ინვენტარიზაციის ჩატარება კომისიის წევრთა არასრული შემადგენლობით დაუშვებელია, ვინაიდან მისი შედეგები ჩაითვლება ბათილად.

ასევე, დარღვეულ იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 09 თებერვლის N70 ბრძანების, მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც ინვენტარიზაციის აქტში, შეტანილი უნდა ყოფილიყო ნაღდი ფულის ნაშთი.

5). კერძო აუდიტორული კომპანიის დასკვნის საფუძველზე, პოლიკლინიკის ადმინისტრაციის მიერ, განხორციელდა 58 (ორმოცდათვრამეტი) ერთეული რბილი და მაგარი ინვენტარის ჩამოწერა, საერთო ჯამური ღირებულებით 766,78 (შვიდას სამოცდაექვსი) ლარი და 78 თეთრი.

აღნიშნილი საკითხი არ იყო შეთანხმებული დამფუძნებელთან, რითაც დაირღვა ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის N10.34.560 დადგენილებით დამტკიცებული წესდების მე–3 მუხლის 3.5. პუნქტის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ქ. თბილისის 25–ე მოზრდილთა პოლიკლინიკა"-ის ხელმძღვანელობა გაეცნო სარევიზიო კომისიის შემოწმება-ანალიზის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებს და მის ირგვლივ შემუშავებულ რეკომენდაციებს, რომელსაც იზიარებენ და ეთანხმებიან.

ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი“

1. „თავშესაფარ“-ის საჭიროებიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის ავეჯის შესყიდვაზე, ტენდერში გამარჯვებულთან შპს „მოდერნ სტილ“-თან, 2017 წლის 27 ოქტომბერს გაფორმდა ხელშეკრულება N ელ.ტენ.16/17, რომლის საერთო ღირებულება 6183,20 ლარი დღგ-ს ჩათვლით, მიწოდება უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების მე-4 მუხლის „საქონლის მიწოდების პირობები და მიღება-ჩაბარების წესი“, 4.1. პუნქტის თანახმად - „საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში“.

მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტი N1 გაფორმებულია 2017 წლის 09 ნოემბერს, შესაბამისად მიწოდება განხორციელებულია 3 დღის ვადაგადაცილებით, რაზედაც ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად მიმწოდებელს უნდა დარიცხოდა პირგასამტეხლო 37.1 ლარის ოდენობით (6183.2*0.2%*3).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დაირღვა ხელშეკრულების მე-4 მუხლის, 4.1. მოთხოვნა.

2. „თავშესაფარ“-ის ბალანსზე რიცხული შენობებში (ალიოშა ჯაფარიძის ქუჩა N15, მიხეილ გახოკიძის ქუჩა N60) სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე, შპს „ნოსტრა“-სთან 2018 წლის 06 ნოემბერს გაფორმდა ხელშეკრულება N ელ.ტენ.11/18, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 51744,90 ლარს დღგ-ს ჩათვლით, ხელშეკრულებით გათავალიწინებული სამუშაოების მიწოდების ბოლო ვადა იყო 2018 წლის 16 დეკემბერი (2.3 მუხლი).

მხარეთა შორის 2018 წლის 21 დეკემბერს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, სამუშაო მიწოდებულია 5 დღის ვადაგადაცილებით, შესაბამისად მომწოდებელი ექვემდებარებოდა დაჯარიმებას პირგასამტეხლოთი 129.35 ლარის ოდენობით (51744.9*0.05%*5).

შესყიდვების სააგენტოს ინტერნეტ გვერდზე არაა ატვირთული ზოგიერთი ტექნიკური დოკუმენტაცია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების, მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტის და

ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.2. პუნქტის „ ა“ ქვეპუნქტის და მე-8 მუხლის, 8.1. პუნქტის მოთხოვნები.

3. „თავშესაფარ“-ის სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ბავშვებისათვის ექსკურსიების მოსაწყობად საჭირო ტრანსპორტის მომსახურეობაზე 2019 წლის 22 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება Nელ.ტენ.04/19, რომლის საერთო ღირებულება შეადგენდა 1600 ლარს. სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური პირობებით (2.3.1 პუქტით) მოთხოვნილი იყო არანაკლებ 20 ადგილიანი სატრანსპორტო საშუალება, ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრედენდენტმა, რომლის მიერ წარმოდგენილი სატრანსპორტო საშუალება ა/მ ფორდ ტრანზიტი ტექ. პასპორტის მიხედვით არის 12 ადგილიანი (11+1), რაც შეუსაბამობაში იყო სატენდერო მოთხოვნებთან.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დაირღვა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების, მე-5 მუხლის, მე-4 პუნქტი და 2019 წლის 28 თებერვალს გამოცხადებული ტენდერის SPA190001301 მოთხოვნა მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ.

ჰუმანიტარული საქონელი სარეკომენდაციო ნაწილი

ჰუმანიტარული საქონელი მიღებულია ყუთების სახით. მათი აღრიცხვა-განაწილების შესახებ არსებობს მოხსენებითი ბარათები და ბენეფიციართა მიერ ხელმოწერით დადასტურებული სიები ჰუმანიტარული საქონლის მიღების შესახებ, თუმცა კი მოხსენებით ბარათებში გაცემები დაფიქსირებულია ყუთების რაოდენობებით და არ ფიქსირდება თვითეულ ყუთში რამდენი ერთეული მეორადი საქონელი იყო მოთავსებული. ამასთან, არ ჩანს ჰუმანიტარული საქონლის გაცემის საფუძველი და გამცემი პირის უფლებამოსილება.

ჰუმანიტარული ფორმით მიღებული საქონელის აღრიცხვა-განაწილების გამჭირვალობისა და მოწესრიგების მიზნით მიზანშეწონილია თვითეული ყუთის გახსნა და ყუთში მოთავსებული საქონლის აღრიცხვა წარმოებდეს ამ მიზნით შექმნილი კომისიის მიერ ბენეფიციართა ჩართულობითა და მონაწილეობით, ხოლო გაცემა-განაწილება კი უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი საფუძვლის მითითებით (ბრძანება, დავალება...) და სრულყოფილი, ბენეფიციართა ხელმოწერებით დადასტურებული ჰუმანიტარული საქონლის

მიღების სიების წარმოებით, რაც უფრო გამჭირვალეს და კონტროლირებადს გახდიდა ჰუმანიტარული ფორმით მიღებული საქონელის აღრიცხვა-განაწილების პროცესს.

## ააიპ „თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი" - რეკომენდაციები

1. „თავშესაფარ"-ში პასუხისმგებელმა პირებმა აკონტროლონ სატენდერო პირობების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
2. პრევენციის მიზნით ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ საჯარიმო სანქციები დაგვიანებით შესრულებულ სამუშაოებზე;
3. „თავშესაფარ"-მა უზრუნველყოს კომუნალური ხარჯების შესამცირებლად ღონისძიებების გატარება.
4. „თავშესაფარ"-ში არსებული ჰუმანიტარული დახმარების გამჭვირვალედ აღრიცხვა-განაწილების მიზნით მოახდინოს მათი საცალო აღრიცხვა ხოლო გაცემა-განაწილება კი უფლებამოსილი პირის მიერ შესაბამისი საფუძვლის მითითებით (ბრძანება, დავალება...).

## ააიპ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება"

### შესყიდვები

1) 2019 წლის 10 იანვარს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი SPA190000112 გაერთიანების ვარკეთილის ფილიალისთვის ინტერნეტ მომსახურების შესყიდვის მიზნით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 16 500 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს„მაგთიკომმა"(ს/კ 204876606), რომელმაც წარმოადგინა სატენდერო ფასი 13 200 ლარის ოდენობით. ვინაიდან პრეტენდენტის წარმოდგენილი ფასი 20 პროცენტით ნაკლები იყო შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო დოკუმენტაციის 4.1.1 პუნქტის თანახმად პრეტენდენტისგან მოთხოვნილი იქნა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება, აკრედიტირებული ექსპერტიზის ან აკრედიტირებული აუდიტის დასკვნა, რაც ვერ იქნა წარმოდგენილი.

შედეგად შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე SPA190000112 ელ. ტენდერს მიენიჭა სტატუსი შეწყვეტილია. აღნიშნული ინტერნეტ მომსახურების შესყიდვის მიზნით გაერთიანებამ 2019 წლის 22 იანვარს კიდევ გამოაცხადა ელ. ტენდერი SPA190000404 სავარაუდო ღირებულებით ისევ 16 500 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის 4.1.1 პუნქტიდან ამოღებულ იქნა სიტყვა "აკრედიტირებული" და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასადასტურებლად მითითებულ იქნა ექსპერტიზის ან აუდიტის დასკვნის წარმოდგენა. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „მაგთიკომმა“, რომელმაც ამჯერად სატენდერო წინადადების ფასი დააფიქსირა 16 280 ლარის ოდენობით და საკასო ხარჯმა შეადგინა 16095.18 ლარი.

სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო პირობის გადაუმოწმებელი ინფორმაციის მითითებამ გამოიწვია, მომსახურების შეესყიდვის ნაცვლად 13 200 ლარისა, გაერთიანებამ გადაიხადა 16 095,18 ლარი (2895,18 ლარით მეტი).

2) 2019 04 აპრილს გამოცხადდა ელ. ტენდერი SPA190002026 გაერთიანების ვაკის და ვარკეთილის ფილიალებისთვის რბილი იატაკების შესყიდვის მიზნით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება იყო 50 000 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო რვა პრეტენდენტმა. მათგან უმცირესი ფასის წარმომდგენ შპს „AIDIN CARPET“-თან გაფორმდა ხელშეკრულება N04ტ, ღირებულებით 18 303 ლარი. საკასო ხარჯმა შეადგინა 18303 ლარი. აღსანიშნავია ის ფაქტი ტენდერში მონაწილე რვა პრეტენდენტიდან ექვსმა სატენდერო წინადადების ფასი დაწია 40 და მეტი პროცენტით

გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელ დასკვნაში (შპს „საკონსულტაციო ჯგუფი კავკასაუდიტი“-ის დასკვნა N100) მითითებულია რომ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასი შეესაბამება საბაზრო ფასებს, აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა თუ რამდენად სწორად მოხდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა.

3) 2019 წლის 26 ივნისს გაერთიანებას და შპს „ელვა.ჯი“-ის შორის ელ. ტენდერის SPA190011718 მეშვეობით დაიდო ხელშეკრულება N06ტ, ღირებულებით 30 303 ლარი. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა 53 სახეობის ჟურნალ-გაზეთების სახელმწიფო შესყიდვა. საკასო ხარჯმა შეადგინა 28116,90 ლარი. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული და

ფაქტიურად მოწოდებული ჟურნალ გაზეთების რაოდენობების შედარებისას ირკვევა რომ 53 დასახელების ჟურნალ-გაზეთებიდან მხოლოდ ექვსი დასახელებაა იმ რაოდენობით მოწოდებული როგორც ხელშეკრულება ითვალისწინებდა, 34 დასახელება მოწოდებულია ნაკლებობით და 13 დასახელება მოწოდებულია მეტობით, რასთან დაკავშირებითაც არანაირი შეთანხმება არ არსებობს. ხელშეკრულების 11.1 პუნქტის თანახმად ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

4) 2019 წლის 01 ივნისს გაერთიანებასა და შპს „მიქს სერვისს" (ს/კ 404568464) გამარტივებული შესყიდვის CMR190105619 მეშვეობით გაფორმდა ხელშეკრულება N45, ღირებულებით 4 950 ლარი. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენდა გაერთიანების ვარკეთილის ფილიალში დამონტაჟებული გამაგრილებელი სისტემის ე.წ. ჩილერის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება. ხელშეკრულებაში წარმოდგენილია ექვს პუნქტიანი ხარჯთაღრიცხვა:

არც ხელშეკრულებაში და არც მიღება-ჩაბარების აქტში ზუსტად არ არის მითითებული მომწოდებლის მიერ ხარჯთაღიცხვის მე-4 პოზიციით „მილების დადუღება" განსაზღვრული სამუშაოს მოცულობა, ასევე მე-3 პოზიციით „აზოტი" და მე-6 პოზიციით „ფრეონი" განსაზღვრული გამოყენებული მასალის მოცულობა.

შესრულებული სამუშაოს მოცულობებთან და მოწოდებული საქონლის რაოდენობასთან დაკავშირებით სარევიზიო ჯგუფის გამოთქმულ შენიშვნებს, შემოწმებული ობიექტის ხელმძღვანელობა იზიარებს.

სარევიზიო კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა კომისიის 8 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 11 საკითხი.

ორგანიზაციებში ჩატარებული შემოწმებების შედეგად ნანახი იქნა სხვადასხვა სახის დარღვევები.

დარღვევებთან დაკავშირებით ორგანიზაციებს, შემოწმება-ანალიზის დასკვნებიდან გამომდინარე, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად მიეცათ წერილობითი რეკომენდაციები.

შემოწმებული ორგანიზაციების შემოწმება-ანალიზის დასკვნები და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, იგზავნება დამატებითი გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში.

სარევიზიო კომისიის მიერ განხორციელებული შემოწმებების შედეგად აღმოჩენელი დარღვევები, რომელიც ასახულია შემოწმება-ანალიზის დასკვნებში, ორგანიზაციების მიერ ხშირად არის გათვალისწინებული რეკომენდაციების სახით, რასაც ადასტურებს ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებები, რაც შემდგომში ისახება მათ საქმიანობაზე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ლევან ჯაფარიძე